ახალი ხარაგაული

№446 (2) 11 თებერვალი, 2022 წ.

სოფელ მირონწმინდაში წმინდა ნიკოლოზის სახელობის უძველეს ტაძართან არსებული ინფრასტრუქტურა მოწესრიგდება

ხარაგაულის მერიის მიერ საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში 2022 წელს წარდგენილი იდეები ტურისტული ლოკაციების, რეკრეაციული სივრცეებისა და საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობას ითვალისწინებს.

მიმდინარე წელს კონკურსში დასაფინანსებლად, ხარაგაულის მერმა კობა ლურსმანაშვილმა იმერეთის სამხარეო საბჭოს სამი საპროექტო წინადადება წარუდგინა.

საბჭომ უკვე მოიწონა და დაფინანსების მოლოდინშია სოფელ მირონწმინდაში წმინდა ნიკოლოზის სახელობის უძველეს ტაძართან არსებული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება.

მირონწმინდაში წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარი VI საუკუნით თარიღდება. ტაძარს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ დაცული ძეგლის სტატუსი მიანიჭა, რომელიც რამდენიმე წლის წინ ფონდი „ქართუს“ დაფინანსებით რეაბილიტირდა.

ხარაგაულის მერი კობა ლურსმანაშვილი ამბობს, რომ მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტში მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდება და ძირითადი პრიორიტეტი ტურისტული ლოკაციებისა და საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას მიენიჭება.

„ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, შემუშავებული გვაქვს არაერთი პროექტი. ამ ეტაპზე მოწონებულ იქნა მირონწმინდის წმინდა ნიკოლოზის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა და ტაძრამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია, რომლის საერთო ღირებულება 258,491 ათასი ლარია. უკვე მომზადებული გვაქვს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. ვიმყოფებით დაფინანსების მოლოდინში, რის შემდეგაც ტენდერი გამოცხადდება.

მოგეხსენებათ, მირონწმინდის ტაძარი უბისისა და კოზმანის სალოცავების საერთო სივრცეშია განთავსებული, ცენტრალური საავტომობილო მაგისტრალიდან არც ისე შორსაა და, ვფიქრობ, რომ მნიშვნელოვან დანიშნულებას შეიძენს ტურისტული კუთხით. არ გამოვრიცხავთ, მომავალში ტაძარი გახდეს მოქმედი.“-განმარტავს კობა ლურსმანაშვილი.

ხარაგაულის მერიამ საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში 2022 წელს კიდევ 2 პროექტი-დაბა ხარაგაულში კულტურისა და დასვენების პარკის რეკონსტრუქცია და ჩხერის ციხესთან ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა-წარადგინა. აღნიშნულიდან საბჭომ უკვე მოიწონა ხარაგაულის ცენტრალური სკვერის რეაბილიტაცია.

„ხარაგაულის მერია ეცდება, მაქსიმალურად მაღალი სტანდარტებით განხორციელდეს პროექტის შესყიდვა. მნიშვნელოვანია, რომ სწორად იყოს დამუშავებული ტექნიკური მოთხოვნები. შემდეგ ეტაპზე კი ვისურვებდი, ტენდერის საშუალებით გამოვლინდეს, პასუხისმგებლობის მქონე სამშენებლო კომპანია, რომელიც მაღალ დონეზე შეასრულებს სარეაბილიტაციო სამუშაოებს და ხარაგაულის ცენტრალურ პარკს ძველებურად მიმზიდველსა და გამორჩეულს გახდის.

რაც შეეხება ჩხერის ციხის მიმდებარე ტერიტორიის ინფრასტრუქტურის მოწესრიგებასა და ციხემდე მისასვლელი გზის რეაბილიტაციას, განხილვის პროცესშია და გადაწყვეტილება ახლო მომავალში იქნება ცნობილი. ასევე უახლოეს მომავალში საბჭოს დასაფინანსებლად წარვუდგენთ ნადაბური-ციცქიური-ხევის დამაკავშირებელი გზის დარჩენილი მონაკვეთის რეაბილიტაციის საკითხს.

მისასალმებელია, რომ 2021 წელს სრიგპ-ის ფარგლებში, ხარაგაულში ორი მასშტაბური პროექტი დაფინანსდა. სოფელ ხუნევში ბაღის მშენებლობა და „დევების“ მიმდებარე ტერიტორიაზე ახალი რეკრეაციული ზონის მოწყობა.“-განაცხადა ხარაგაულის მერმა.

შეგახსენებთ, რომ ხუნევში სკოლამდელი დაწესებულების მშენებლობისათვის 619 170 ათასი ლარი დაიხარჯება. ე.წ „დევების“ რეაბილიტაციის პროექტის სავარაუდო ღირებულება 282 000 ლარია. აღსანიშნავია, რომ პროექტების თანადაფინანსება ხარაგაულის ადგილობრივი ბიუჯეტიდან განხორციელდა.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფლებში ვაქცინაციის მაჩათონი მოეწყო

კიცხის, ვარძიისა და ხიდრის ადმინისტრაციულ ერთეულში მოსახლეობას ვაქცინაცია ადგილზე ჩაუტარდა. ვაქცინაციის მარათონს მონიტორინგს უშუალოდ უწევდა მერის პირველი მოადგილე ვარლამ ჭიპაშვილი და ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ დირექტორი ალექსანდრე ტაბატაძე.

ვაქცინაციის პროცესი, მობილური ამცრელი ბრიგადების საშუალებით, სოფლის ამბულატორიაში განხორციელდა და ხელმისაწვდომი იყო „სინოვაკის,“„სინოფარმისა“ და „ფაიზერის“ ვაქცინები. მსურველებს შეეძლოთ როგორც პირველი და მეორე დოზის, ასევე, ბუსტერდოზის გაკეთებაც.

ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის, ალექსანდრე ტაბატაძის, ინფორმაციით, ამჟამად ხარაგაულში 8 ათასამდე ადამიანია ვაქცინირებული.

„ხარაგაულში ვაქცინაციის პროცესი შეუფერხებლად მიმდინარეობს და ყველა ვაქცინა ხელმისაწვდომია. აცრები ორ ლოკაციაზე-რეგიონული ჯანდაცვის ცენტრსა და ბორითის კლინიკაში- ხორციელდება. გარდა ამისა, ჩვენ ვცდილობთ, სოფლებში გავიდეთ და მოსახლეობამ ადგილზე ისარგებლოს ამ სერვისით. ჩვენი რეკომენდაციაა, რაც შეიძლება ბევრი მოქალაქე იყოს ვაქცინირებული და მალე დავასრულოთ პანდემია“.-განმარტა ალექსანდრე ტაბატაძემ.

მერის პირველი მოადგილე ვარლამ ჭიპაშვილი ამბობს, რომ ვაქცინაციის მარათონი მუნიციპალიტეტში გრძელდება. მისივე თქმით, აცრა ავადობის შემცირებასა და შესაძლო გართულებების თავიდან აცილებაში გვეხმარება და სწორედ ამიტომ, მობილური ამცრელი ბრიგადები მომსახურებას ხარაგაულის სხვა სოფლებშიც შესთავაზებენ მოსახლეობას.

ინფორმაციისთვის, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, თებერვლის ბოლომდე, 50 წელს გადაცილებულ მოქალაქეებს აცრის შემთხვევაში 200 ლარი გადაეცემათ, ასევე, 50 წელს გადაცილებული ყველა ის მოქალაქე, რომელიც კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის ორი დოზით არის აცრილი და მესამეს გაიკეთებს, 100 ლარს მიიღებს.

მიმდინარე წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდება

საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება ხარაგაულის ადგილობრივი ხელისუფლების ერთ–ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. ამის დასტურია ის, რომ ბოლო წლების განმავლობაში ისეთ სოფლებში, სადაც გზა არასდროს ყოფილა, თანამედროვე სტანდარტების გზები გაკეთდა. გარდა ამისა, აშენდა ახალი საბავშვო ბაღები, რეაბილიტირდა საჯარო სკოლები, გაზიფიცირდა რამდენიმე სოფელი და სხვა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ხარაგაულის მერია მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას საკამოდ დიდ ყურადღებას აქცევს. როგორც ჩვენთვის ცნობილია, მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტში მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება იგეგმება, რისთვისაც სხვადასხვა ფონდიდან თანხები უკვე გამოიყო და ზოგიერთ პროექტზე ტენდერებიც გამოცხადდა. უფრო დეტალურად, რა პრიორიტეტები შეიმუშავა მიმდინარე წელს ადგილობრივმა ხელისუფლებამ, ამის შესახებ მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე დავით დევდარიანი გვესაუბრება.

-მაქსიმალურად ვცდილობთ, პირველ რიგში, ის პროექტები განხორციელდეს, რომლებიც უშუალოდ მოსახლეობის კეთილდღეობაზე იქნება ორიენტირებული. აღსანიშნავია, რომ ბოლო წლების განმავლობაში მუნიციპალიტეტის ისეთ სოფლებში, სადაც რეაბილიტირებული გზები არასდროს ყოფილა, დღეს უკვე მოსახლეობა კეთილმოწყობილი გზებით სარგებლობს. თითქმის ყველა სოფელში ხორციელდება სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტი და ბევრი სასიკეთო ცვლილებებია ადგილობრივებისათვის. მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტს რეგიონული განვითარების ფონდიდან, პირველ ეტაპზე 2 775 762 ლარი გამოეყო და დაგეგმილია 19 პროექტის განხორციელება. აქედან სამი პროექტი გარდამავალია, რომლებზეც სამუშაოები 2021 წელს დაიწყო. დანარჩენ 16-ზე, სამუშაოების შემსრულებლების გამოვლენის მიზნით, ტენდერები გამოცხადდა. ზოგიერთ მათგანზე ტენდერი უკვე დასრულებულია და შერჩევა-შეფასების პროცედურები მიმდინარეობს. ხარაგაულის მერია, რეგიონული განვითარების ფონდიდან დამატებით თანხებს კვლავ მიიღებს და მიმდინარე წელს კიდევ მოგვეცემა ახალი პროექტების განხორციელების შესაძლებლობა.

-რის საფუძველზე ანიჭებს მუნიციპალიტეტის მერია პრიორიტეტს განსახორციელებელ ინფრასტრუქტურულ პროექტებს?

-პროექტების შერჩევა-შეფასებისას, პირველ რიგში, დიდი ყურადღება ექცევა ისეთ სოფლებს, სადაც კომპაქტური დასახლებაა და საგზაო ინფრასტრუქტურა მოსაწესრიგებელია. გარდა ამისა, პრიორიტეტების შერჩევისას ვხელმძღვანელობთ, „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობისა და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილებით“. ასევე საპროექტო წინადადებებისა და დოკუმენტაციის მომზადების შერჩევისას გათვალისწინებულია შემდეგი კრიტერიუმები:

საპროექტო წინადადებისა და საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისობა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის განვითარების პროგრამასთან; ადგილობრივი მოსახლეობის მაქსიმალური ჩართულობა საპროექტო წინადადების შერჩევისა და განხორციელების პროცესში; მოსახლეობის ხელმისაწვდომობის გაზრდა და ხარისხის ამაღლება ტრანსპორტის, ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის, საბინაო-კომუნალური მომსახურების სფეროებში.

გეტყვით, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფლებში ცენტრალური გზების უმრავლესობა რეაბილიტირებულია. ახლა კი შიდა საუბნო გზების მოწესრიგებაზე გვაქვს აქცენტი.

ტენდერში გამარჯვებული კომპანიები სამუშაოებს და გამოვლინდა თუ არა დარღვევის ფაქტები?

- შესრულებული სამუშაოების ხარისხი რამდენიმე ფაქტორზეა დამოკიდებული. ჩვენთან დაგეგმილი ყველა სამუშაოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას ექსპერტიზა აქვს გავლილი, წინააღმდეგ შემთხვევაში ის დაფინანსებას ვერ მიიღებს. სამუშაოს დაწყებიდან დასრულებამდე მას კონტროლს უწევს, როგორც ჩვენ მიერ დაქირავებული საზედამხედველო ორგანიზაცია, ასევე შესაბამისი სამსახურები და მერის ბრძანებით შექმნილი კონტროლის ჯგუფი. ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით, სამუშაოების უხარისხოდ შესრულების ალბათობა მინიმუმამდეა დაყვანილი. ძირითადი პრობლემა მაინც მენარმეების მიერ გეგმა-გრაფიკის დარღვევაში გამოიხატება, რა დროსაც მათ მიმართ გამოიყენება კანონმდებლობით და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სანქციები.

როგორ ხდება დასრულებული პროექტების ჩაბარება და ვინაა პასუხისმგებელი მის ხარისხზე?

-50 000 ლარზე მეტი ღირებულების

გაგრძელება ▶ 2 გვ.

სოციალური პროგრამების ფარგლებში ხარაგაულის მერია იანვრის თვეში შემოსულ განცხადებების დასაკმაყოფილებლად 90 254 ათას ლარს დახარჯავს

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიაში, სოციალურად დაუცველ და მძიმე ეკონომიკური პირობების მქონე მოქალაქეებზე მატერიალური დახმარების გაცემის საკითხზე, კომისიის სხდომა გაიმართა.

სხდომას მერის პირველი მოადგილე და ამავდროულად აღნიშნული კომისიის თავმჯდომარე, ვარლამ ჭიპაშვილი, უძღვებოდა.

კომისიის წევრებმა დეტალურად განიხილეს და იმსჯელეს შემოსულ განცხადებებზე. როგორც აღინიშნა, მიმდინარე წლის იანვრის თვეში, მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ სამსახურს დახმარების თაობაზე მოქალაქეებმა სხვადასხვა საკითხზე მიმართეს.

კერძოდ, კომისიის გადაწყვეტილებით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული სოციალური პროგრამების ფარგლებში ფულადი დახმარება გაიცემა ახალშობილთა, სოციალურად დაუცველ გარდაცვლილ და მარჩენალდაკარგულთა ოჯახებზე, ერთჯერად ფულად დახმარებას მიიღებს ასევე უკიდურესად შეჭირვებული რამდენიმე ოჯახი, თანადაფინანსება მოხდა საოპერაციო ხარჯებზე. გარდა ამისა, ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტებს დაუფინანსდა მედიკამენტების შეძენის ღირებულება.

საერთო ჯამში, დაფინანსების საერთო მოცულობამ 90 254 ათასი ლარი შეადგინა.

აქვე გეტყვით, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია მიმდინარე წელს სოციალურ პროგრამებზე 1 500 000 ათას ლარს დახარჯავს. ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტში 22 ქვეპროგრამა მოქმედებს.

გვერდი მოამზადა ეკა შავიძემ

საჯარეულოს სწყლიანს ექაჩის პიჯეული ეოაღგილე ვაჯღაე ჭიპაშვილი დაესწრო

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტს, სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების დასაფინანსებელი ფონდიდან, კიცხი-ხიდრის დამაკავშირებელი გზის სარეაბილიტაციოდ, 750 ათასი ლარი გამოეყო.

აღნიშნულის შესახებ დეპუტატებმა 7 თებერვალს გამართულ საკრებულოს სხდომაზე იმსჯელეს, რომელსაც მერის პირველი მოადგილე ვარლამ ჭიპაშვილი ესწრებოდა.

როგორც ვარლამ ჭიპაშვილმა განმარტა, პრობლემის აღმოფხვრის მიზნით, ადგილობრივი ხელისუფლება აქტიურად მუშაობდა და გზის აღდგენითი სამუშაოებისათვის ტენდერი უკვე გამოცხადდა.

„მოსახლეობის უსაფრთხოდ გადაადგილებისათვის, გზის გარკვეული ნაწილის ჩავარდნის შემდეგ, ალტერნატიული გზა გაკეთდა. ველოდებოდით შესაბამის სამინისტროდან დაფინანსებას და მისასალმებელია, რომ ეს პრობლემა მოგვარდება. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ადგილობრივები კვლავ კეთილმოწყობილი გზით ისარგებლებენ და უსაფრთხოების ნორმები დაცული იქნება. აქვე გეტყვით, რომ პროექტის ფარგლებში, ასევე დაგეგმილია ბეტონის კედლის მოწყობა“.-განმარტა მერის პირველმა მოადგილემ.

ამავე სხდომაზე განხილულ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტს, სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების დასაფინანსებელი ფონდიდან, კიცხი-ხიდრის დამაკავშირებელი გზის სარეაბილიტაციოდ, 750 ათასი ლარი გამოეყო.

აღნიშნულის შესახებ დეპუტატებმა 7 თებერვალს გამართულ საკრებულოს სხდომაზე იმსჯელეს, რომელსაც მერის პირველი მოადგილე ვარლამ ჭიპაშვილი ესწრებოდა.

როგორც ვარლამ ჭიპაშვილმა განმარტა, პრობლემის აღმოფხვრის მიზნით, ადგილობრივი ხელისუფლება აქტიურად მუშაობდა და გზის აღდგენითი სამუშაოებისათვის ტენდერი უკვე გამოცხადდა.

„მოსახლეობის უსაფრთხოდ გადაადგილებისათვის, გზის გარკვეული ნაწილის ჩავარდნის შემდეგ, ალტერნატიული გზა გაკეთდა. ველოდებოდით შესაბამის სამინისტროდან დაფინანსებას და მისასალმებელია, რომ ეს პრობლემა მოგვარდება. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ადგილობრივები კვლავ კეთილმოწყობილი გზით ისარგებლებენ და უსაფრთხოების ნორმები დაცული იქნება. აქვე გეტყვით, რომ პროექტის ფარგლებში, ასევე დაგეგმილია ბეტონის კედლის მოწყობა“.-განმარტა მერის პირველმა მოადგილემ.

ამავე სხდომაზე განხილულ საკრებულოს სხდომებზე.

„დევების“ ქანდაკებისა და მიმდებარე სკვერის რეაბილიტაციის სამუშაოებზე ტენდერი გამოცხადდა

სულ მალე ხარაგაულში, ე.წ. „დევების“ ტერიტორიაზე, ახალი რეკრეაციული ზონა შეიქმნება და, ტურისტული თვალსაზრისით, ერთ-ერთი საუკეთესო ადგილი იქნება.

ამ მიზნით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიამ ტენდერი გამოაცხადა და გამარჯვებული კომპანია 28 თებერვალს გამოვლინდება.

პროექტი, საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში, 2021 წელს 282 000 ლარით დაფინანსდა.

საპროექტო დოკუმენტაცია ითვალისწინებს: ახალი ლამპიონების, საპარკინგე ადგილის, ხელნაკეთობებისათვის სავაჭრო სივრცის, საინფორმაციო დაფისა და სკვერის შიდა სივრცის კეთილმოწყობას.

გარდა ამისა, მოპირკეთდება „დევების“ გამოსახულება და მოექცევა დამცავ გარსში, სკვერის ტერიტორიაზე მოეწყობა ლანდშაფტური გარე სანათები და დამონტაჟდება ვიდეო სათვალთვალო კამერები. ასევე მოხდება სკვერის გამწვანება ბუნებრივი კორდით და ტერიტორიაზე დაირგვება დეკორატიული ნაძვის ხეები.

ხარაგაულის მერი კობა ლურსმანაშვილი მიიჩნევს, რომ „დევები“ ხარაგაულის სავიზიტო ბარათია და მისი რეაბილიტაციის შემდეგ, მუნიციპალიტეტში დამსვენებელთა ნაკადი გაიზრდება.

„პროექტის ფარგლებში „დევების“ განახლებული მონუმენტი გვექნება. მის მიმდებარედ კი მოეწყობა სკვერი, გაიზრდება რეკრეაციული ზონა, გაკეთდება მანქანების სადგომი და განათების ახალი სისტემა. ასევე, ხელნაკეთი ნივთებისთვის შესაბამისი სივრცე, სადაც შეესაძლებელი იქნება რეგულარულად ან ღონისძიებების დროს მოხდეს ადგილობრივი ნაწარმის რეალიზება. „დევები“ ხარაგაულისთვის სავიზიტო ბარათი და ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი ადგილია. ეს არის ადგილი, რომელიც, წარსულიდან მოყოლებული, ახსოვს ყველა სტუმარს და ჩვენთვის მნიშვნელოვანია ტერიტორიის მონესრიგება, რომელიც ქმნის განწყობას ხარაგაულზე და სიმბოლურ დატვირთვას ატარებს. რამდენჯერმე მოხდა „დევების“ რეაბილიტაცია, მაგრამ ასეთი სახის კომპლექსური სამუშაოები არასოდეს ჩატარებულა -" განაცხადა კობა ლურსმანაშვილმა.

კიცხი-ხიდრის დამაკავშირებელი გზის სარეაბილიტაციოდ 750 000 ლარი გამოიყო

ხარაგაულის მერის, კობა ლურსმანაშვილისა და მაჟორიტარი დეპუტატის, პაატა კვიჟინაძის, ერთობლივი ძალისხმევით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტს, სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების დასაფინანსებელი ფონდიდან, კიცხი-ხიდრის დამაკავშირებელი გზის სარეაბილიტაციოდ, 750 ათასი ლარი გამოეყო.

პრობლემის აღმოფხვრის მიზნით, ადგილობრივი ხელისუფლება აქტიურად მუშაობდა, გაკეთდა პროექტი, მთავრობის გადაწყვეტილებით გამოიყო დაფინანსება და გზის აღდგენითი სამუშაოებისათვის ტენდერი გამოცხადდა.

ხარაგაულის მერის, კობა ლურსმანაშვილის, განმარტებით, ამ ეტაპზე კიცხი-ხიდრის დამაკავშირებელ მონაკვეთზე მოსახლეობა ალტერნატიული გზით სარგებლობს.

„რამდენიმე ხნის წინ დაზიანდა კიცხი-ხიდრის დამაკავშირებელი გზა და მოსახლეობას გადაადგილების მხრივ პრობლემები შეექმნა. ადგილობრივი ხელისუფლების ძალებით, მოეწყო დროებითი, ალტერნატიული გზა. ახლა კი სტიქიის სალიკვიდაციო ფონდიდან მივიღეთ დაფინანსება და მოხდება გზის კაპიტალური შეკეთება. მინდა, მადლობა გადავუხადო მაჟორიტარ დეპუტატს, პაატა კვიჟინაძეს, რომელიც თანხების დროულად გამოყოფის მიზნით, აქტიურად მუშაობდა შესაბამის სამინისტროსთან“. - აღნიშნა ხარაგაულის მერმა.

შეგახსენებთ, რომ კიცხი-ხიდრის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციის მიზნით გამოცხადებული ტენდერი 23 თებერვალს დასრულდება.

მიმდინარე წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდება

დასაწყისი ▶ 1 გვ.

ინფრასტრუქტურული ობიექტების სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურებას ახორციელებენ საზედამხედველო კომპანიები, რომლებიც აკრედიტირებული არიან სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრის“ მიერ. მათ მიერ მომზადებული ექსპერტიზისა და შესაბამისი დასკვნის საფუძველზე, მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კონტროლის ჯგუფი საბოლოოდ ახორციელებს პროექტის შემოწმებას და აკეთებს შესაბამის დასკვნას. დადებითი დასკვნის საფუძველზე დგება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი. დასრულებული პროექტების ხარისხზე პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტის მერია.

-დაბა ხარაგაულში მიმდინარეობს წყალარინებისა და უწყვეტი წყალმომარაგების სამუშაოები. როდის იგეგმება ამ ორი მასშტაბური პროექტის დასრულება?

-მნიშვნელოვანია, რომ ამ პროექტების დასრულების შემდეგ, ხარაგაულს ექნება 24-საათიანი და, რაც მთავარია, ხარისხიანი წყალმომარაგება, ასევე ახალი საკანალიზაციო სისტემა, რომელიც წლებია, პრობლემას წარმოადგენს მუნიციპალიტეტში. რაც შეეხება პროექტის დასრულებას, რამდენიმე ხნის წინ ხარაგაულის მერის, კობა ლურსმანაშვილის, ინიციატივით, მოხდა შეხვედრა სამუშაოების დამკვეთ შპს „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის “ ახალ ხელმძღვანელთან და შემსრულებელ კომპანიებთან. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ორივე პროექტი დასრულდება მარტის თვის განმავლობაში. ვინაიდან ძირულა-ხარაგაული-ჩუმათელეთის გზის რეაბილიტაციის ფარგლებში დაგეგმილია ხარაგაულის ცენტრალური ქუჩის (სოლომონ მეფის ქუჩა) გზის საფარის დაგება, პირველ ეტაპზე აღნიშნულ ქუჩაზე და მის მიმდებარედ მოეწყობა კანალიზაციის კოლექტორი, რათა გზის სამუშაოებს ხელი არ შეეშალოს. ვფიქრობ, ძალიან მალე შეგვეძლება, დაბა ხარაგაულის ცენტრალური ქუჩის რეაბილიტაცია დავიწყოთ და მოქალაქეებმა კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურით ისარგებლონ.

- მიმდინარე წელს, იგეგმება თუ არა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ განხორციელება ?

-„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა. მოსახლეობის უშუალო ჩართულობითა და მათივე გადაწყვეტილებით, თანხები ძირითადად მცირე ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე იხარჯება.

2021 წელს, პროგრამის ფარგლებში, 140 პროექტი განხორციელდა, მათ შორის, მოხდა გზებისა და სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია, მოეწყო გარე განათება. საერთო ჯამში, პროგრამის ფარგლებში 890 000 ლარი დაიხარჯა, მათ შორის, ხარაგაულის მერიიდან თანადაფინანსების სახით - 193 000 ლარი.

რა თქმა უნდა, მიმდინარე წელსაც განხორციელდება „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“. ველოდებით მთავრობის განკარგულებას, თუ რა თანხას მიიღებს ამ მიმართულებით ხარაგაული, ახლო მომავალში გახდება ცნობილი. დაფინანსების მოსვლის შემდეგ ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში მოეწყობა შეხვედრები და მოსახლეობა თავად აირჩევს, რისი გაკეთება სურთ და რა არის მათთვის პრიორიტეტი.

-გვესაუბრეთ გაზიფიცირებასთან დაკავშირებით, რომელი სოფლების გაზიფიცირება იგეგმება მიმდინარე წელს?

-საქართველოში დასახლებული ტერიტორიების გაზიფიცირების სამუშაოები ხორციელდება მთავრობის მიერ გაწეული სუბსიდირებით, რაც განსაზღვრულია მთავრობის შესაბამისი განკარგულებით. ამ განკარგულების მიხედვით, 2022 წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში დაგეგმილია: ღარიხევის, წიფის, ქროლის, კიცხის იგორეთისა და ლაშის იგორეთის გაზიფიცირება. რაც შეეხება დანარჩენ სოფლებს, გაზის მაგისტრალის მოწყობა განხორციელდება ეტაპობრივად. ამჟამად ხარაგაულში ბუნებრივი აირით დაბა, ბაზალეთი, ჩხერი, ჯაფაროული, თეთრაწყარო, ისლარი, ფარცხნალი, ახალსოფელი, ლაშე და კიცხი სარგებლობს.

გაზის მაგისტრალის მოწყობა დასრულებულია ვარძიაში და საქარიქედში, სადაც ბუნებრივი აირი მიმდინარე წელს ჩაირთვება.

-რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში მერიამ რამდენიმე წინადადება წარადგინა. რომელი პროექტები დაფინანსდა აღნიშნული პროგრამის ფარგლებში?

-საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში წარდგენილი პროექტებიდან დაფინანსდა ხუნევში საბავშვო ბაღის მშენებლობისა და დაბა ხარაგაულის მიმდებარედ „დევების“ სკვერის რეაბილიტაცია. ხუნევში საბავშვო ბაღის მშენებლობა უკვე მიმდინარეობს. „დევების“ სკვერის რეაბილიტაციის სამუშაოებზე კი გამოცხადებულია ტენდერი, რომელიც თებერვლის ბოლოს დამთავრდება. მიმდინარე წელს ასევე მუნიციპალიტეტის მერიამ წარადგინა სამი საპროექტო წინადადება: სოფელ მირონმინდაში ეკლესიასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია, დაბა ხარაგაულის კულტურისა და დასვენების პარკის რეკონსტრუქცია და ჩხერის ციხესთან ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა.

-რა მდგომარეობაა მაღალმთიანი დასახლების სტატუსის მქონე სოფლებში. მიმდინარე წელს იგეგმება თუ არა მაღალმთიანი დასახლების ფონდიდან თანხების გამოყოფა?

-ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სოფლებში საგზაო ინფრასტრუქტურა ეტაპობრივად ეწყობა. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ დიდი ყურადღება ექცევა მაღალმთიან დასახლებებს და მაქსიმალურად ხორციელდება ყველაფერი იმისათვის, რომ მოსახლეობა სოფლად დამაგრდეს. ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ეს სტატუსი ხუთ სოფელს აქვს მინიჭებული.

2021 წელს საკმაოდ მსხვილი პროექტები იქნა განხორციელებული გედსამანიასა და ზვარეში, რაზეც მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა. წელსაც გვაქვს მზად რამდენიმე საპროექტო დოკუმენტაცია და იმედი მაქვს, ზოგიერთი მათგანის განხორციელების საშუალება მოგვეცემა.

- როგორც ვიცით, საქართველოს მთავრობის განკარგულებით ხარაგაულის მუნიციპალიტეტს, კიცხი-ხიდრის დამაკავშირებელი გზის სარეაბილიტაციოდ თანხები გამოეყო. როდის დაიწყება აღნიშნულ მონაკვეთზე სარეაბილიტაციო სამუშაოები?

- მას შემდეგ, რაც კიცხი-ხიდრის დამაკავშირებელი გზის გარკვეულ მონაკვეთზე, წყლის დინების ზემოქმედების შედეგად, განვითარდა მეწყერული პროცესები და მოძრაობა აღარ იყო უსაფრთხო, ჩვენ მიერ დაისახა სალიკვიდაციო ღონისძიებები. პირველ რიგში, მომზადდა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, ჩვენ მიერ განისაზღვრა საჭირო თანხა და სამხარეო ადმინისტრაციის შუამდგომლობით მოხდა ამ თანხის მოთხოვნა საქართველოს მთავრობის წინაშე. პრობლემის მოგვარების საქმეში უშუალოდ იყო ჩართული, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი კობა ლურმანაშვილი და მაჟორიტარი დეპუტატი პაატა კვიჟინაძე. მათი ძალისხმევის შედეგად მართლაც ოპერატიულად მოხდა სტიქიის სალიკვიდაციო ფონდიდან თანხის გამოყოფა. ამასთანავე, სამუშაოების შესრულების გამოვლენის მიზნით, გამოცხადებულია ტენდერი, რომელიც 23 თებერვალს დასრულდება. პროექტის ღირებულება 750 000 ლარია, რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებულია რკინა-ბეტონის საყრდენი კედლისა და დაზიანებული 87 მეტრი გზის მონაკვეთის მშენებლობა. ამასთან ერთად, გზაზე უსაფრთხო და შეუფერხებელი გადაადგილების მიზნით, დაზიანებული გზის მიმდებარედ მოეწყო ალტერნატიული დროებითი გზის მონაკვეთი.

- რამდენიმე სოფელში სასმელი წყლის მიწოდების საკითხი კვლავ აქტუალურია, რა ღონისძიებებს ატარებს ხარაგაულის მერია ამ მიმართულებით ?

-განსაკუთრებით ბოლო წლებში წყლის დებეტის კლებისა და მოხმარების მოთხოვნილების გაზრდის გამო, ბევრ სოფელში შეიქმნა წყალმომარაგების პრობლემა. გასულ წელს, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში და მერიის მიერ განხორციელებული თანადაფინანსებით, 5 სოფელში მოეწყო ჭაბურღილი, ასევე თითქმის ყველა სოფლისთვის, მოთხოვნისა და საჭიროების მიხედვით, შეძენილ იქნა სხვადასხვა ზომის ავზები და წყლის მილები. საერთო ჯამში, წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციისათვის 368 140 ათასი ლარი დაიხარჯა. არანაკლები თანხაა განსაზღვრული მიმდინარე წლის ბიუჯეტში, რომელიც წყლის სისტემის მოწესრიგებას მოხმარდება.

- გასულ წელს განხორციელდა წყალაფორეთის საჯარო სკოლის დემონტაჟი. იგეგმება თუ არა სკოლის ახალი შენობის აგება და რა ეტაპზეა ეს საკითხი ?

- გასულ წელს დაგეგმილი იყო სოფელ წყალაფორეთის საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია, თუმცა სამუშაოების წარმოების დროს შენობა იმდენად დაზიანებული აღმოჩნდა, რომ მისი აღდგენა არარენტაბელური იქნებოდა. ამჟამად სკოლის ახალი შენობის მშენებლობისთვის ადგილი შერჩეულია და მიმდინარეობს მოლაპარაკება მუნიციპალური განვითარების ფონდსა და მშენებელ კომპანიას შორის საკითხის დადებითად გადასაწყვეტად. წყალაფორეთს ახლო მომავალში აუცილებლად ექნება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სკოლა. ამ საკითხზე ხარაგაულის ადგილობრივი ხელისუფლება აქტიურად მუშაობს.

გეტყვით იმას, რომ განათლება ჩვენს საქმიანობაში ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა და ხარაგაულის საჯარო სკოლებს სარეაბილიტაციო სამუშაოები სისტემატურად უტარდებათ. ასევე, ბოლო წლების განმავლობაში, მუნიციპალიტეტში რამდენიმე ახალი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სკოლა აშენდა.

-და ბოლოს გკითხავთ იმას, თუ რა ეტაპზეა ძირულა - ფონა - ჩუმათელეთის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები?

-ძირულა-ფონა-ჩუმათელეთის გზის რეაბილიტაციის სამუშაოების მიზნით, ტენდერი გამოცხადებული იყო ორ ლოტად. ძირულა-ბაბის მიმდებარედ მუშაობს კომპანია „ბლექ სი გრუპი “, რომელმაც სამუშაოების უმეტესი ნაწილი დაასრულა. დარჩა რამდენიმე პრობლემური მონაკვეთი, რომელთა რეაბილიტაცია ამჟამადაც მიმდინარეობს. რაც შეეხება გზის მეორე მონაკვეთს ბაბიდან-ჩუმათელეთამდე, კომპანიამ, რომელსაც ევალებოდა გზის რეაბილიტაცია, ვერ უზრუნველყო თავისი მოვალეობების შესრულება და, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, მიმდინარეობს მასთან გაფორმებული ხელშეკრულების შეწყვეტის პროცედურები. ამ პროცედურების დასრულების შემდგომ თავიდან მოხდება სამუშაოების შესყიდვა, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ. ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება მალე დასრულდეს აღნიშნული მონაკვეთის რეაბილიტაცია და მოსახლეობას გადაადგილების მხრივ პრობლემები მოუგვარდეს. რა თქმა უნდა, ადგილობრივი ხელისუფლება მუდმივ კომუნიკაციაშია შესაბამის სამინისტროებთან, რათა ეს პრობლემები ახლო მომავალში აღმოიფხვრას.

ხარაგაულის კლინიკა ჩამდენიმე თვეა, კოვიდპაციენტებს ემსახურება

ხარაგაულის რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი სამი წელია, გიორგი ამურველაშვილი გახლავთ. ბ-ნ გიორგის სამედიცინო განათლება აქვს მიღებული და წლების განმავლობაში სხვადასხვა კლინიკაში ხელმძღვანელ პოზიციებზე მუშაობდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ის ნამდვილად გამოირჩევა მაღალი პროფესიონალიზმით და სწორედ მისი ძალისხმევით კლინიკაში ბოლო წლებში არაერთი სიახლე დაინერგა. პანდემიის დღიდან, საავადმყოფო აქტიურადაა ჩართული კოვიდპაციენტების ჯანმრთელობის რეგულირებაში და აქ მომუშავე მედპერსონალის დამსახურებით, უამრავ მოქალაქეს სიცოცხლე შეუნარჩუნდა.

რა სერვისებია ამჟამად ხელმისაწვდომი სამედიცინო დაწესებულებაში, რა სიახლეებით შეხვდნენ 2022 წელს და როგორ მიმდინარეობს კოვიდპაციენტების მკურნალობა, ამის შესახებ გიორგი ამურველაშვილი პირადად გვესაუბრება.

-გასული წლის სექტემბრიდან ხარაგაულისა და ბორითის კლინიკები კოვიდცენტრებად გადაკეთდა. ამ პერიოდის განმავლობაში 300-მდე პაციენტი მივიღეთ, როგორც ხარაგაულიდან, ასევე სხვადასხვა ქალაქიდან. ჩვენი გუნდი დაუღალავად და მაღალი პროფესიონალიზმით ემსახურება თითოეულ მათგანს, თუმცა გვქონდა გართულებებიც, ასეთ შემთხვევაში კი რეფერირებას ვახდენთ შესაბამის კლინიკაში. ასეთი სულ 20-მდე შემთხვევა გვქონდა, საბედნიეროდ, ყველა მათგანი გამოჯანმრთელდა.

უნდა აღინიშნოს, რომ კოვიდპაციენტების მართვის საკითხში ერთ-ერთი საუკეთესონი ვართ, ამის თქმის უფლებას მაძლევს არაერთი გამოჯანმრთელებული და მადლიერი პაციენტი, რომლებიც საჯაროდ გამოხატავენ თავიანთ კმაყოფილებას.

რაც შეეხება სიახლეებს, გეტყვით, რომ კლინიკის თანამშრომლები ყოველთვის ორიენტირებული არიან პროფესიული განვითარების კუთხით. სწორედ ამ მიზნით, ინტენსიურად მიმდინარეობს მედპერსონალის გადამზადება. მოგეხსენებათ, რომ კლინიკაში არის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების განყოფილება (ემერჯენსი) და რეგულაციის მიხედვით აუცილებელია, საკმარისი რაოდენობის ემერჯენსოლოგები გვყავდეს. ამიტომ გადავწყვიტეთ, მედპერსონალი გადაგვემზადებინა ემერჯენსოლოგებად და ეს პროცესი ეტაპობრივად ხორციელდება. მინდა გითხრათ, რომ ზოგადად პატარა რაიონების სამედიცინო დაწესებულებებში ემერჯენსოლოგების დეფიციტია, თუმცა, დღევანდელი მდგომარეობით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტი ექიმების დეფიციტს არ განიცდის. ყველა სპეციალისტი გვყავს ადგილზე, როგორც ამბულატორიაში, ასევე გადაუდებელი დახმარების ცენტრსა და სტაციონარში. მნიშვნელოვანი სიახლეა ის, რომ რეგიონალური ჯანდაცვის ცენტრის მხარდაჭერით, სულ ახლახან კლინიკაში ჟანგბადის მინი ქარხანა დამონტაჟდა. აღსანიშნავია, რომ მსგავსი მინი ქარხანა ბორითის გადაუდებელ ცენტრშიც წარმატებით ფუნქციონირებს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს მასშტაბით, ხარაგაულის საავადმყოფო ერთ-ერთი საუკეთესოა, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე აპარატურით და საერთაშორისო სტანდარტის ნორმებს შეესაბამება. კლინიკაში ასევე ფუნქციონირებს რეანიმაციული განყოფილება, სადაც განთავსებულია მაღალტექნოლოგიური აპარატურა, მათ შორის, სასუნთქი აპარატი და მონიტორული სისტემა.

-ამ ეტაპზე, კონკრეტულად რომელი ამბულატორული მომსახურების მიღება შეუძლიათ პაციენტებს?

-მიუხედავად იმისა, რომ კლინიკა კოვიდცენტრადაა გადაკეთებული, რეგულაციების დაცვით ხდება სხვა პაციენტთა მიღება და ძირითადი სერვისები კვლავ ხელმისაწვდომია. თუმცა, მიღების დრო შემცირებულია და ეს ხდება მოქალაქეთა უსაფრთხოებისთვის. დიდი ნაკადის თავიდან ასარიდებლად დავაწესეთ მიღების საათები, დილის 10 საათიდან საღამოს 17:00 საათამდე. ამ დროის მონაკვეთში კარდიოლოგი, თერაპევტი, პედიატრი, ნევროლოგი, ოფთალმოლოგი, ყელ-ყურის ექიმი, ყველა ადგილზეა. კლინიკაში აქტიურად ტარდება ყველა ამბულატორული მომსახურება და 24-საათიან რეჟიმში მუშაობს ექოსკოპისტი. ჩვენთან შეუფერხებლად მიმდინარეობს ვაქცინაციის პროცესიც. ამჟამად კლინიკაში ხელმისაწვდომია „სინოვაკის“, „სინოფარმის“ და „ფაიზერის“ ვაქცინები. აცრები მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობს და ამ დრომდე გართულებების არც ერთი შემთხვევა არ გვქონია.

-გვესაუბრეთ მოწვეულ ექიმებზე, რომლებიც ამჟამად ჰყავს ხარაგაულის კლინიკას.

-იმის გათვალისწინებით, რომ ხარაგაულის მოსახლეობას კლინიკაში ჰქონდეს ყველა სერვისზე ხელმისაწვდომობა, სხვა რაიონებიდან გვყავს სხვადასხვა პროფილის სპეციალისტები მოწვეული. ექიმი-კარდიოლოგი, ვლადიმერ თხელიძე და ჯუნი ფერაძე, ქირურგი მალხაზ ბურნაძე, ყელ-ყურის ექიმი ვახტანგ მატარაძე და ანესთეზიოლოგი სოსო სეფაშვილი. თუმცა კოვიდპაციენტებთან მუშაობის გამო, მოწვეულ ექიმთა უმრავლესობამ სპეციალური გადამზადება გაიარა და დროებით, გადაუდებელი დახმარების სპეციალისტებად მუშაობენ ემერჯენსში. ხარაგაულის საავადმყოფოში სულ 63 მედპერსონალი საქმიანობს, რომლებიც დღედაღამ დაუღალავად დგანან პაციენტების ჯანმრთელობის სადარაჯოზე. მიუხედავად იმისა, რომ გვქონდა ექიმთა დაინფიცირების შემთხვევებიც, შიდა რესურსებით წარმატებით ვართმევდით თავს და აქტიურად ვაგრძელებდით მუშაობას.

-როგორია კლინიკის სამომავლო გეგმები...

-მუნიციპალიტეტში არსებული რთული ეპიდვითარების დროს რთულია სამომავლო გეგმებზე საუბარი. ამ ეტაპზე თითოეული ჩვენგანის მიზანია, რაც შეიძლება, მალე დავასრულოთ პანდემია და დავუბრუნდეთ ცხოვრების ჩვეულ რიტმს. მინდა მოსახლეობას მოვუწოდო, უფრო აქტიურად ჩაერთონ ვაქცინაციის პროცესში და ერთობლივი ძალებით დავამარცხოთ უხილავი მტერი. ასევე მნიშვნელოვანია პირბადის სწორად ტარება და ხალხმრავალი ადგილებისაგან თავის არიდება.

ჩემი მიზანია, ხარაგაულის მოსახლეობა მაღალი სამედიცინო მომსახურებით იყოს უზრუნველყოფილი და გვყავდეს, რაც შეიძლება, ბევრი კმაყოფილი პაციენტი. კლინიკაში კი ამისთვის ყველა სამედიცინო რესურსი და ინტელექტუალური პოტენციალია და, რა თქმა უნდა, სამომავლოდ ამ მიმართულებით კვლავ გვექნება სიახლეები.

და ბოლოს, მადლობა მინდა გადავუხადო რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელს ბ-ნ ნუგზარ ბოლქვაძეს და კლინიკის მედპერსონალს, რომლებიც კოვიდპანდემიის ურთულეს პერიოდში დაუღალავად მუშაობენ.

მარიამ შარიქაძე

მერის პირველი მოადგილე სოციალური სფეროს წარმომადგენლებს შეხვდა



ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ვარლამ ჭიპაშვილი ჯანდაცვისა და სოციალური მიმართულებით საკურატორო სამსახურების უფროსებს შეხვდა.

შეხვედრის მიზანი პანდემიის პერიოდში ამ მიმართულებით გაწეული საქმიანობისა და არსებული გამოწვევების შეჯერება გახლდათ.

ვარლამ ჭიპაშვილი დეტალურად გაეცნო თითოეული სამსახურის საქმიანობას, იქ არსებულ პრობლემებს და უფროსებთან მათი გადაჭრის გზებზე იმსჯელა.

„მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ყოველდღიურ რეჟიმში გვაქვს ერთმანეთთან საქმიანი ურთიერთობა, ვფიქრობ, მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესების, ღონისძიებებისა და სამომავლოდ განსახორციელებელი პროექტების დაგეგმვა და ერთად მსჯელობა ბევრად უფრო ეფექტურ შედეგს მოგვცემს. აუცილებელი და საჭიროა თითოეულ ჩვენგანს ერთმანეთთან მჭიდრო და კონსტრუქციული თანამშრომლობა გვქონდეს, რაც აუცილებლად მოგვცემს შედეგს, ჩვენი მუნიციპალიტეტი იყოს ერთ-ერთი გამორჩეული და წარმატებული. მინდა გითხრათ, რომ ამ რეჟიმში სისტემატურად გვაქვს შეხვედრები, ერთმანეთთან აზრებისა და იდეათა გაცვლა-გამოცვლა.“-აღნიშნა ვარლამ ჭიპაშვილმა.

საშუალო-ზესტაფონის საგარეუბნო მატარებელმა მოძრაობა განაახლა

მაჟორიტარი დეპუტატის, პაატა კვიჟინაძისა და ხარაგაულის მერის, კობა ლურსმანაშვილის, აქტიური მუშაობით, ხაშური-ზესტაფონის საგარეუბნო მატარებლით მოსახლეობის გადაადგილება ძველი გრაფიკით, განახლდა.

ხარაგაულის მერის, კობა ლურსმანაშვილის, ინფორმაციით, რკინიგზის დეპარტამენტის გადაწყვეტილებით, მოქალაქეების დაშვება რკინიგზის მომსახურე პერსონალის გადამყვანი მატარებლის ერთ ვაგონზე მოხდა.

„აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრის მიზნით, არაერთხელ მივმართეთ რკინიგზის დეპარტამენტს, რაშიც აქტიურად იყო ჩართული მაჟორიტარი დეპუტატი პაატა კვიჟინაძე. საბოლოოდ მივიღეთ შეთანხმება, რომ რკინიგზის მომსახურე პერსონალის გადამყვან მატარებელზე მოხდებოდა დამატებითი ვაგონის ჩაბმა, რითაც მოქალაქეები ისარგებლებდნენ. მივესალმები, რომ ჩვენი მოსახლეობის ინტერესები მთლიანად იქნება დაკმაყოფილებული. საგარეუბნო მატარებელი უკვე მოძრაობს, როგორც დილის, ასევე შაუდღისა და საღამოს რეისებით. გარდა ამისა, მოსახლეობას დამატებით შევთავაზეთ მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურება მოლითი-ხარაგაულის მიმართულებით. ნებისმიერი ხარაგაულელის ტკივილი და პრობლემა არის მათ მიერ არჩეული ადგილობრივი ხელისუფლების პრობლემა, ჩვენ ვართ მათ მსახურებაში და ვაპირებთ, ასე გავაგრძელოთ.“ - აღნიშნა კობა ლურსმანაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ მატარებლის მიმოსვლის განრიგი ასეთია:

ზესტაფონი-ხაშური – 06:05 სთ;
ხაშური-ზესტაფონი – 10:20 სთ;
ზესტაფონი-ხაშური – 14:20 სთ;
ხაშური-ზესტაფონი – 17:05 სთ.

დეპუტატებმა მერიის შესყიდვების სამსახურის ანგარიში დადებითად შეაფასეს

7 თებერვალს გამართულ საკრებულოს სხდომაზე დეპუტატებმა მერიის შესყიდვების სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში მოისმინეს. საკითხი ამავე სამსახურის უფროსმა ზურაბ იჩქიტიძემ წარმოადგინა. როგორც მოხსენებით ბარათში ვკითხულობთ, შესყიდვების სამსახური უშუალოდ არეგულირებს სახელმწიფო შესყიდვების სწორად განხორციელებას, სატენდერო დოკუმენტაციის, კომისიის სხდომის ოქმების, ინტერესთა კონფლიქტის, ხელშეკრულების, მიმწოდებლებთან გადასაგზავნი წერილების, სამართლებრივი აქტისა და სხვადასხვა სახის საჭირო დოკუმენტაციის მომზადებას. საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტის მერიამ სახელმწიფო შესყიდვები განახორციელა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტების სახსრებით. 2021 წლის განმავლობაში ჯამში 9 978 592.72 ლარის შესყიდვა მოხდა.

მათ შორის:

ელექტრონული ტენდერით - 8 167 533.33 ლარის შესყიდვა;

კონსოლიდირებული ტენდერით - 460 011.16 ლარის შესყიდვა;

გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე -159 655.82 ლარის შესყიდვა;

მონეტარული ზღვრების დაცვით - 105 385. 96 ლარის შესყიდვა;

სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების ფარგლებში - 24 937.16 ლარის შესყიდვა;

ნორმატიული აქტით დადგენილი გადასახდელების ფარგლებში- 30 586 ლარის შესყიდვა;

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში-1 030 483.29 ლარის შესყიდვა;

ერთ პირთან მოლაპარაკების გზით გაფორმებულია 232 ხელშეკრულება, რომლებიც 10 დღის ვადაში იტვირთება და რეგისტრირდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში. (www.procurement.gov.ge).

დეპუტატებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ მერიის შესყიდვების სამსახური საკმაოდ ნაყოფიერად საქმიანობს და ეს აისახება იმ შედეგებში, რაც მუნიციპალიტეტს აქვს.

საკრებულოს წევრთა გადაწყვეტილებით, მერიის შესყიდვების სამსახურის ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ, დადებითად შეფასდა.

საქართველოს მთავრობა სოციალურად დაუცველ ოჯახებს კომუნალურ გაზღვასგაზღვებს დაუსუბსიდირებს

საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის, ინიციატივით, რეგიონებში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ ოჯახებს სახელმწიფო მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურს დაუსუბსიდირებს. სუბსიდირების თანხა შეადგენს არა უმეტეს, 200 კვტსთ ელექტროენერგიის საფასურს, 1 კვტ/სთ-ზე 3,5 თეთრის ოდენობით. სოციალურ აქციაში ჩაერთვებიან ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულა 70 000-დან 150 000-მდეა. სუბსიდირება არ ვრცელდება იმ აბონენტებზე, რომლებიც სარგებლობენ „აბონენტების მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელექტროენერგიის ყოველთვიური საფასურის ანაზღაურების შესახებ“ დადგენილებით გათვალისწინებული შეღავათებით.

ასევე, სუბსიდიის პროგრამით ისარგებლებენ თბილისში მცხოვრები 70 000 ან ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე სოციალურად დაუცველი ოჯახები. თანხა შეადგენს 2020 წლის დეკემბერში შესაბამის საფეხურზე მოქმედ საბოლოო მომხმარებლის ტარიფსა და 2015 წლის ივლისში მოქმედ სამომხმარებლო ტარიფს შორის სხვაობას და დამატებით 2022 წლის იანვარსა და 2020 წლის დეკემბერში მოქმედ ტარიფებს შორის სხვაობას 1 კვტ/სთ-ზე 3,5 თეთრის ოდენობით. ასეთ ოჯახებზე განხორციელდება სასმელი წყლის საფასურის სუბსიდირებაც, არა უმეტეს 100 ლარისა.

საკრებულოს სხდომაზე დეპუტატები საბიუჯეტო ცვლილებას გაეცნენ

7 თებერვალს საკრებულოს სხდომა გაიმართა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე დავით კიკნაძე ხელმძღვანელობდა. სხდომაზე დეპუტატები საბიუჯეტო ცვლილებას გაეცნენ, რომელიც მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის განყოფილების უფროსმა ნინო მაღლაკელიძემ წარმოადგინა. მომხსენებლის ინფორმაციით, მუნიციპალიტეტის შემოსულობები 892 321 ლარით გაიზარდა და 15 315 423 ათასი ლარით განისაზღვრა. მისივე განმარტებით, შემოსულობების ზრდის წყაროა საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი 892 321 ლარი. რაც შეეხება გადასახდელებს, 981 906 ლარით გაიზარდა. აღნიშნულ თანხაშია განსაზღვრული, 2022 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში არსებული საბიუჯეტო სახსრების ნაშთი 89 585 ლარი.

„საქართველოს მთავრობის განკარგულებით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტს ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში, უკვე შერჩეული პროექტების დასაფინანსებლად გამოეყო 892 321 ლარი, აქედან ხუნევის საბავშვო ბაღის შენობის აგებისათვის 612 978 ლარი და ე.წ „დევების“ რეკონსტრუქციისათვის 279 343 ლარი.

გარდა ამისა, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მიერ წარდგენილი სამი პროექტის განსახორციელებლად, ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯებში დამატებით საჭიროა 89585 ლარი, აქედან პროექტებისათვის 70 000 ლარი, ხოლო თანადაფინანსებისათვის 19 585 ლარი. “ - ვკითხულობთ დოკუმენტაციაში.

წარმოდგენილ საბიუჯეტო ცვლილებას დეპუტატებმა მხარი დაუჭირეს.

ჰემოდიალიზით მოსარგებლე ბენეფიციარების დახმარება იზრდება

სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესში ცვლილების შეტანის თაობაზე 7 თებერვალს გამართულ საკრებულოს სხდომაზე მერიის სოციალური სამსახურის უფროსმა ნანა კიკნაძემ ისაუბრა. მისივე განმარტებით, ჰემოდიალიზით მოსარგებლე ბენეფიციარებს დახმარება გაეწევათ ყოველთვიურად 200 ლარის ოდენობით. აქვე განვმარტავთ, რომ ამ დრომდე დახმარება 150 ლარს შეადგენდა, დამატებული 50 ლარი კი ტრანსპორტირების ხარჯების დასაფარავად იქნება განკუთვნილი.

სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის ცვლილებას დეპუტატებმა მხარი დაუჭირეს.

მარიამ შარიძაძე

„საქართველო რუსთაველი არის...“

შვიდი წელია, რაც საქართველო წიგნის კითხვის საერთაშორისო დღეს შეუერთდა, თუმცა ქართველისათვის დროის ეს მონაკვეთი მაინც პირობითია, რადგან ოდითგანვე ქართველი კაცი წიგნით სულდგმულობს, წიგნითა და წიგნიერებით იკვალავს გზას...

2 თებერვალს, ტრადიციისამებრ, ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის, ქალბატონი მარინა ვეფხვაძის, აქტივობით, წიგნის კითხვის საერთაშორისო დღე, კორონავირუსის პანდემიის გამო, ონლაინ რეჟიმში აღინიშნა და, შემთხვევითი არ იყო, რომ ღონისძიებაში მონაწილენი სიბრძნის დიდი საუნჯის - „ვეფხისტყაოსნის“ - ირგვლივ გაერთიანდნენ...

ადამიანის ცხოვრებაში არ არსებობს პრობლემა, არ არსებობს განსაცდელი, რომლისგანაც თავდასაღწევად „ვეფხისტყაოსნის“ ბრძნული აფორიზმები არ შემოგეშველოს და არ გიმეგზუროს, თუ როგორ წარმართო ხვალინდელი დღე... მათგან ორიოდეც რომ გავიხსენოთ, სრულიად საკმარისია:

„ჭირსა შიგან გამაგრება, ასრე უნდა, ვით ქვითკვირსა;“

„ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია;“

„კაცმან საქმე მოიგვაროს, ვეჭვ, ჭმუნვასა ესე სჯობდეს.“

აბა, ვის არ გვახსოვს „ვეფხისტყაოსნის სრული ტექსტის მთარგმნელის, კონსტანტინე ბალმონტის სიტყვები: „თუ ჰომეროსი ელადაა, დანტე-იტალია, სერვანტესი-ესპანეთი, საქართველო რუსთაველი არის.“ ალბათ, უკეთესი შეფასება აღარცაა საჭირო...

და აი, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა ქალბატონმა მარინა ვეფხვაძემ წიგნის კითხვის საერთაშორისო დღის მონაწილეებს „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის თითო სტროფი შესთავაზა. დეკანოზი მამა პავლე, ირინე ჩხეიძე, იზა ვეფხვაძე, დავით კიკნაძე, მარინა ვეფხვაძე, ნიკოლოზ მაჭავარიანი, ალექსანდრე (ალეკო) ტაბატაძე, მარინე ხვედელიძე, ვალერი გოგნაძე, მერი გიორგიძე, მესამე საჯარო სკოლის მეოთხე კლასის წარჩინებული მოსწავლე ლუკა კვინიკაძე და, ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი ხარაგაულელი შეუერთდა ამ უმშვენიერეს ღონისძიებას.

„აწ ენა მინდა გამოთქმად, გული და ხელოვანება“ - წკრიალა ხმით კითხულობს ლუკა კვინიკაძე და გვწამს, რომ მისი თაობა და მომავალი თაობები სწორედ „ვეფხისტყაოსნის“ მეგზურობით დაეუფლებიან ცოდნისა და წიგნიერების უკიდეგანო სივრცეებს.

მერი გიორგიძე

ხარაგაულელი ევსევ შველიძე საქართველოს ჩემპიონია

ხარაგაულელი ევსევ შველიძე, თავისუფალ ჭიდაობაში, საქართველოს ჩემპიონი გახდა.

შეჯიბრზე, რომელიც რუსთავში გაიმართა, ევსევი, 23 წლამდე მოჭიდავეთა შორის, 79 კგ წონით კატეგორიაში გამოდიოდა. აღსანიშნავია, რომ მან ამ გამარჯვებით ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე მონაწილეობის უფლება მოიპოვა.

ევსევ შველიძე სპორტის ამ სახეობაში 5 წლიდან ვარჯიშობს. არის მრავალგზის საქართველოს პრიზიორი. ამბობს, რომ ჭიდაობით მამამ დაინტერესა და მისცა მოტივაცია, გაჰყოლოდა და სერიოზულად მოჰკიდებოდა სპორტის ამ სახეობას.

თვლის, რომ ამ ეტაპზე მისი ცხოვრების მთავარი მიღწევა საქართველოს ჩემპიონობაა, ყველაზე დიდ გულშემატკივრად ოჯახს მიიჩნევს, რომელიც ყველანაირად გვერდით უდგას და მაქსიმალურად ხელს უწყობს მიზნების მიღწევაში. დიდი სურვილი აქვს, ევროპისა და მსოფლიოს ჩემიონატებზე წარმატებით იასპარეზოს და ხარაგაული კიდევ ერთხელ ასახელოს.

რევაზ შერგელაშვილი, რომელიც ევსემის მწვრთნელია, ამბობს, რომ ახალგაზრდა სპორტსმენი ძალიან მოწესრიგებული და მიზანდასახულია.

„ევსემმა თავისუფალ ჭიდაობაში ვარჯიში პირველი კლასიდან დაიწყო და 15 წელია, რაც სპორტის ამ სახეობით არის დაკავებული. თავიდან მას ანზორ მაღრაძე ავარჯიშებდა, შემდეგ კი მე შევუდექი ამ მეტად საპასუხისმგებლო საქმეს. სკოლის დამთავრებამდე ხარაგაულში ვარჯიშობდა. ახლა კი, თავისი მიღწევებით, საქართველოს ნაკრების წევრია. იგი ძალიან შრომისმოყვარე და პასუხისმგებლიანი ადამიანია. მას აქვს საუკეთესო მონაცემები, რომ ჭიდაობაში თავისი სიტყვა თქვას.“-აღნიშნა რევაზ შერგელაშვილმა.

მოგახსენებთ, რომ 6-13 მარტს ევსემ შველიძე მონაწილეობას მიიღებს ევროპის ჩემპიონატზე, რომელიც ბულგარეთის ქალაქ პლოვდივში გაიმართება.

ეკა შავიძე

კარგი ხარაგაულელი და კარგი ქართველი (ალექსანდრე (ალეკო) ბლუაშვილის ნათელ ხსოვნას)

ჩემო ალექსანდრე -ალეკო, ჩემო უსაყვარლესო, სიკეთითა და სიყვარულით გულსავსე ვაჟკაცო, ტრადიციული ქართული ოჯახის შვილო და, თვითონაც საუკეთესო ოჯახის თავკაცო!

როგორ მიჭირს ისეთი სიტყვების მოძიება, რომლებიც შემომეშველება იმ გამაოგნებელი განცდის გადმოსაცემად, რაც ზეციური სასუფევლისაკენ შენმა მოულოდნელმა გაფრენამ დაასადგურა ჩემში და ყველა იმ პიროვნების სულში, რომელთაც კარგად იცოდნენ, თუ „ვისი გორისა“ იყო ალეკო ბლუაშვილი, იცოდნენ იმ სიყვარულის უსაზღვროება, რომელსაც მისი მზიანი გული ასხივებდა.

მიმძიმს 1982-83 სასწავლო წელს ა/კ რკინიგზის ხარაგაულის N10 საშუალო (ახლა ხარაგაულის მესამე საჯარო) სკოლის 29 თვალებხატულა, გონიერი, სწავლასა და შრომითს საქმიანობაში გამორჩეული კლასის ხელმძღვანელსა და დამრიგებელს, რომ აწ უკვე იმქვეყნიური მარადიული ყოფის ბინადრად მოგიხსენიოს 55 წლის ალეკო ბლუაშვილი, რომელიც თანაკლასელთა-ნოდარ ღამბარაშვილისა და ზაზა ჭიპაშვილის-იმქვეყნიურ საძმოს შეუერთდა...

რას ვიზამთ, არავის ძალუძს, წინ აღუდგეს ბუნების, ხშირ შემთხვევაში, უსამართლო კანონებს და გულს ისევ იმ კეთილი ეპიზოდების გახსენებით ვინუგეშებ, რომლებითაც ნათელი კვალი აღბეჭდე წუთისოფელში...

ჩემო ალეკო!

სკოლის დამთავრების შემდეგ, მხოლოდ სწორი და მართალი გზებით იკვლევდი გზას ცხოვრებაში უმაღლესი განათლების დაუფლებისა, თუ სამსახურებრივი მისიის აღსრულებისას. საუკეთესო მშობლებისა და სათაყვანებელი ბიძის, ჟორა ბლუაშვილის, აღზრდილმა ვაჟკაცმა კარგად იცოდი უმცროს-უფროსობის ფასი, მოყვასისადმი ერთგულება და თანადგომა. სიყვარულით დაუკავშირე მომავალი ცხოვრება ასევე საუკეთესო ოჯახის შვილს, ქალბატონ ლალი ვაქერ-სებისკვერაძეს - ხარაგაულის პედაგოგთა დიდ ქომაგსა და მზრუნველს... ორი კარგი შვილი - ზურაბი და ანა - აღუზარდეთ ქვეყანას.

ბიძა-ძმისშვილობის ჭეშმარიტი ეტალონი იყავით შენ და შენი ჟორა ძია, შენი დაიკოები, ქეთინო და ძალიან ნაადრევად წასული სოფო... ძია ჟორას „კულტი“ კიდევ უფრო გააძლიერა ღირსეული ოჯახის ღირსეულმა რძალმა, ქალბატონმა ლალი ვაქერ-სებისკვერაძემ. (დიდ მწუხარებასთან გამკლავება და დიდხანს სიცოცხლე მას!)

ახლა კი მინდა ლამაზ მოგონებებში გადავსახლდე და თვალცრემლიანად მოვიგონო შენს კლასელთა ანცობის ერთი ეპიზოდი, რომელიც „სადამრიგებლო რვეულის“ გაყვითლებული ფურცლებიდან ამოვიკითხე: მაშინ სულ სამიოდე დღის წინ ექსკურსიით მოვიარეთ აკაკი წერეთლის სამკვიდრო - სხვიტორი, სოფელი სავანე, საჩხერე. დავტკბით „მიდინახეს“ სიმაღლითა და მდინარე ჩიხურას ჩუხჩუხით... ეს დღე შაბათი იყო. სამშაბათს კი პირველი ჩემი გაკვეთილი - ქართული ენა და ლიტერატურა გქონდათ. მეორე გაკვეთილის დაწყებამდე რაღაც ინფორმაციის გასაცნობად შემოვედი კლასში და.... დამხვდა სრული სიცარიელე, აღმოჩნდა, რომ „შატალოზე“ ჩხერის ციხისაკენ აგეღოთ სტარტი... სასწრაფოდ დავუკავშირდი ჩემს საიმედო ძალას- თქვენს მშობლებს- და უკვე მეოთხე-მეხუთე გაკვეთილზე „სასამართლო პროცესი“ გაიმართა თქვენს საკლასო ოთახში. სასამართლოს თავმჯდომარეობდა სულგანათლებული ქალბატონი ნათელა გორგოძე-ჩერქეზიშვილი. სასამართლომ „განაჩენით“ ბრალდებული გოგონები დედებს გადასცა დასასჯელად, ხოლო ვაჟები - კლასის დამრიგებელს. იმდენი წყალი გაზიდვინეთ ვედროებით სკოლის ტუალეტების ჩასარეცხად და კასრების ასავსებად, რომ შემომეხვიეთ დაქანცულები და განწირული ხმით მთხოვეთ: - მოიღეთ მონყალება, მერი მასწ, გავთავდით, მეტი აღარ შეგვიძლია!

ან მინდა, იმ დროის ჩარჩოებიდან გიყურო, სანამ ამქვეყნად ვიარსებებ და შენი თანაკლასელის, ყველასათვის საამაყო იზა ვეფხვაძის, მიერ საკუთარ ფეისბუქ გვერდზე განთავსებული სიტყვებით დაგემშვიდობო: - სულ გვეხსომები, სულ გვეყვარები, შენ ჩვენი კლასის საუკეთესო ბიჭი იყავი და ასეთად დარჩები...

გზა მშვიდობისა, ჩვენო დიდო ტკივილო, ჩვენო ალექსანდრე-ალეკო ბლუაშვილო!

მერი გიორგიძე

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიმდებარედ „სენდვიჩპანელის კონტეინერი“ განთავსდება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია „სენდვიჩპანელის კონტეინერის“ (კოტეჯი) შეძენას გეგმავს. ამის შესახებ დეპუტატებმა 7 თებერვალს გამართულ საკრებულოს სხდომაზე იმსჯელეს. საკითხი მათ მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის განყოფილების უფროსმა ნინო მაღლაკელიძემ წარუდგინა. როგორც მოხსენებით ბარათში ვკითხულობთ, „ქვეყანაში არსებული ეპიდვითარებიდან გამომდინარე, ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში საკმაოდ გაიზარდა მოქალაქეთა მომართვიანობა covid-19-ის ტესტირებაზე. აქვე გეტყვით იმასაც, რომ ტესტირება ხორციელდება შენობის მე-2 სართულზე, რაც ხშირ შემთხვევაში პრობლემას წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, რადგან შენობას არ აქვს ე.წ „პანდუსი“. გარდა ამისა, ტესტირებისათვის გამოყოფილი ოთახი ვერ აკმაყოფილებს შესაბამის სტანდარტებს და ხშირია მოქალაქეთა რიგები, რაც კიდევ უფრო ამძიმებს ეპიდსიტუაციას. სწორედ ამიტომ საჭირო გახდა „სენდვიჩპანელის კონტეინერის“ შეძენა.“

წარმოდგენილ საკითხს დეპუტატებმა მხარი ერთხმად დაუჭირეს და, მათივე გადაწყვეტილებით, ზემოაღნიშნული კოტეჯის შესაძენად 13 000 ლარი მიიმართა.

სამძიმარი

ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის“ თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ხარაგაულის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეს, ქალბატონ ლალი ვაქერ-სებისკვერაძესა და მის ოჯახს საყვარელი მეუღლის, ზნემაღალი ხარაგაულელი ვაჟკაცის

ალექსანდრე (ალეკო) ბლუაშვილის გარდაცვალების გამო.

უფალმა სასუფეველი დაუმკვიდროს მის წმინდა სულს და გაუძლიეროს შთამომავლობა.

გამომცემელი ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: **22-32-25**; ტირაჟი 1500 ცალი
დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ: 595-51-98-12